№ 43. 28 თებერვალი, შაბათი. 1866 — 1881 28 თებერვალი, შაბათი. № 43.

რედაქცია
გალაკანის ბრაბანტექტზეთ. ოვ. შუბრანგის სახლებში კლუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თელავში „დროებაᲘ“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში, „დროებაᲘ-ივერიის“ აგენტთან ი. ჭეონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„ДРОЕБА“-„ИВЕРІИС“ ФАСИ
წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
„დროება“ და „ივერია“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.
ცალკე „დროება“. . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ივერია“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

ДРОЕБА

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ხაზებით ხაზზე 5 კაპ. ვინც ულვაშებზე ხაზი. მოკლეთ ხაზზე ნახევარ კაპ. ორ-სამ ულვაშებიანი ხაზზე შეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფლითა კარ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაᲘ“-„ივერიის“ აგენტთან.
ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ნატალია პეტრეს ასული იუზბაშევისა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებს-რა თავის ნათესავებსა და ნაცნობებს თავის ქმრის **პეტრე ივანეს ძის იუზბაშევის** გარდაცვალებასა, სთხოვს ამათ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გამოტანაზედ, შაბათს, 28 თებერვალს, დილის 10 საათზედ, საკუთარის სახლიდამ, ფრანგების ქუჩაზე, ფრანგების ეკკლესიაში.

არწრუნის თეატრში
ორშაბათს, 2 მარტს
ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება
კეთილი საქმის სასარგებლოდ
დავა
ან
ტოჩკა და ზაპეტაია
კომედია 5 მოქმედ. ბ. ერისთვისა,
ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.

ტელეგრამები

(ხალხთა შორის საგანტრო.)

სტამბოლი 26 თებერვალს. ევროპის ელჩები დათანხმდნენ გოშენისა და გაცფელდის აზრზედ, რომ იმათ მიიღონ მხოლოთ ოსმალოს წინადადება სებერძნეთის საქმის შესახებ, არ განიხილონ და არც გადასცენ ეს წინადადება თავიანთ მმართებლობას.

სტამბოლი, 25 თებერვ. ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით, ომეველის მხრით კარდონი დააყენეს იმ მაზრაში, სადაც შავი ჭირი გაჩნდა და უნდა დაიწვას ყველა ის სოფლები, სადაც კი ეს სენი აღმოჩნდა.

დუბლინი, 25 თებერვალს. დატუსაღებულია 18 კაცი ირლანდიის სამიწაწყლო ლიგის მონაწილეთაგანი; ერთი ამათგანი ბოიტანი ამ ლიგის მოთავეო ითვლება.

ებრაელები.

ტფილისი, 27 თებერვალს.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ებრაელები ბლომად ცხოვრებენ და იმათგან ჩვენი ხალხის შევიწროებაზე, იმათ ვაჭრულ მიმართულებაზე და საზოგადოთ იმათ ხასიათზე ბევრი საყვედური და უკმაყოფილება ისმის სიტყვიერათაც და ბეჭდვითაც.

მთელს ქვეყანაში, ყველა სახელმწიფოებში სცხოვრებენ ურიები და, საფრანგეთს გარდა, თითქმის ყველგან ერთი-და-იგივე ხასიათი შერჩენიათ ურიებს, ყველგან ერთ-ნაირად უჩივიან იმათა.

ამ ბოლოს დროს, გერმანიაში საქმე იქამდინ მივიდა, რომ შესდგა კერძო წრეები, საზოგადოებანი, რომელნიც საქვეყნოთ ქადაგობენ, რომ ურიებს ზოგიერთი სამოქალაქო უფლება უნდა ჩამოერთვასო, რომ ხალხი უნდა დავიცვათ იმათ შევიწროებისგან; მთელი ვაჭრობა, ყველა გაზეთები, ყოველგვარი წარმოება, ყველა ბანკები იმათ ხელშიაო, როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ ქვეყნის საქმეებსაო; მთავრობა უნდა გაერიოს ამ საქმეში და დაიცვას ხალხი ამ ყოველად-შემძლებელ ურიებისაგანაო და სხვ. და სხვ.

ამ საგნის შესახებ დიდი ბაასი და აყალ-მაყალია ამ ჟამად გერმანიისა და საზოგადოთ ევროპის ჟურნალ-გაზეთებში. აქ მოგვყავს „ფრანკფურტის გაზეთიდამ „*Journal des Débats*“-ში გადმობეჭდილი ჩინებული სტატია ქენევის გამოჩენილ პროფესორის ქარლ �ტისა.

ქარლო ფოხტს თავის ერცელ სტატიის დასაწყისში მოჰყავს შვეიცარიისვე შესანიშნავ მეცნიერის ალფონს დე ქანდოლის შემდეგი სიტყვები ამავე საგნის შესახებ:

„ახირებულს სურათს წარმოგვიდგენდა ევროპა, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ ებრაელებისაგან ეოფილიყო დასახლებული: ომები მოსწობილი იქნებოდა; სასელმწიფო გადასახადი და ვალები შემცირდებოდნენ; მგიერად, მეცნიერება, ვაჭრობა, მუზიკის ცოდნა და ყოველგვარი წარმოება ერთი-ორად გაძლიერდებოდა; სამეფოლოებასა და სასელმწიფოს შუა მოისპობოდა განსეთქილება; ადამიანი უფრო დიდ ხანს იცხოვრებდა ვინემ ესლა; ერთის სიტყვით, იქნებოდა ერთის მხრით, უფრო მომეტებული ჭკუა განათლება და მშვენიერებისადმი მიდრეკილება და მეორეს მხრით, უფრო ნაკლები განსეთქილება, სისხლის ღვრა, რევოლიუციები.

„მგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ გვარ სალხს არსებობა არ შეეძლო; ეს ფიზიკურ ძალას მოკლებული იქნებოდა და უეჭველად რომელიმე სხვა გაუნათლებული, სალხი თავს-დაესხმოდა, აიკლებდა და დაიმორჩილებდა...“

ამ სიტყვების მოყვანის შემდეგ ქ. ფახტი ამბობს:

„გერმანიას თითქო სწყურიან სისხლი და ბრძოლა. საფრანგეთთან ბრძოლის შემდეგ, რომინ ბაბს შეეტაკა; მერე სოციალიზმს; ახლა ურიებს აუტყდა! მგრამ რას ერჩიან ეს ნემეცები ებრაელებსა?

„— ისინი გვატყუებენო. „—რათა სართ იმდენად სულელი, რომ ატყუებინებთ თავს?

„— ებრაელებმა მთელი ბეჭდვის საქმე ხელში ჩიგდესო!—რად დაანებეთ?

«დროების» ფელეტონი, 28 თებერვ.

რამე-რუმე

მეორე ხარისხის ქალაქის მმართველთა არჩევანის შემდეგ მე მქონდა სახეში მაშინვე მიმეყოლებინა მესამე ხარისხზედაც, მაგრამ გადაიფიქრე; ესთქვი:—არა ღირან კი გორელები იმათ, რომ ამდენი სწეროს კაცმა, ქალალდი და მელანი ხარჯოს, და სული ფუჭად!! ძუზიანს საფლავი გაასწორებს-მეთქი, ანდაზისა არ იყოს და დადე თახჩაზე ჩემი კალამი.

ერთიც ვნახოთ, ჩვენებურმა კაცმა შემომიტანა ჩემი გულითადი მეგობრის წერილი, წერილი ძალიან დიდი საყვედურისა, ძალიან სასტიკი კილოთი დაწერილი, რომლიდგანაც რამდენსამე ალაგს მოვიყვანს:

„ბიჭო,—ასე იწყობა წერილი,—არა გცხვენიან, ჰაა? ეგ არის შენი პირი! აკი დამპირდი, რომ გამოვა თუ არა „რამე-რუმე“ მეორე ხარისხზე, მაშინვე მივაყოლებო მესამეზე. თუ აგრე დააგვიანებდი, მაშ მასალები რაღათ მომთხოვე? შენი სიტყვების წინააღმდეგი ხდები: „ბოროტი კაცები არ უნდა მოასვენოს ადამიანმა, მუდამ უნდა კრიჭაში ვუდგეთ, ვააშკარაოთ მაგათი ცუდი საქმეები, რომ ძილი აღარ მოუვიდეთ, ღამე გაუფთხეთო“. ამას ამბობდი და ამბობ კიდეც ხოლმე, და ახლა კი ხმას აღარ იღებ. ბცხვენოდეს ბიჭო-ჯან, გცხვენოდეს! ერთის სიტყვით, სამუდამოთ დამკარგამ, თუ ხმა არ ამოგიღია. მე ის მიკლავს გულს, რომ სულ რიგიანი ხალხი დაგვიშავეს, სულ!

„მართლა კინაღამ არ დამავიწყდა! შენგან აწერილი „რამე-რუმეში“ ქინძისთავი და კუკი—ეს ორი შესანიშნავი ცხოველი ქალაქის სამმართველოსი დღეს დილით სპირტის ქილებში ჩაწყობილნი ჩამოატარეს დიდ ქუჩაზე; მთელი ხალხი ზედ დეედო საცქერლად. თურმე, ნუ ბრძანებთ, თფილისის მუზეუმს მოუთხოვნია საუკუნოდ შესანახავათ. ქარგი საქმეა! დამიწებას, რა ჭკუაა, სპირტში შენახვა სჯობიან; შთამომავლობა ერთხელაც არის შეხედავს იმათ სახეებს მოიგონებს იმათ ღვაწლს ქალაქისადმი.

წერილის პირველმა ნახევარმა შემაწუხა და მეორე ნახევარმა მწუხარება უკუაგდო და პირზე ღიმი მომგვარა. სწორედ რიგიანად მოგცეულ ხარ, მეგობარო! ასრე, რომ არ მოქცეულიყავ, სწორედ მეც ძალიან ცხარე წერილს მოგვარტყამდი...

ეჰ! ვასრულებ შენ თხოვნას, რა გაეწყობა.

მესამე ხარისხის ამომრჩეველებს შეადგენს დაბალი ხალხი, გლეხ-კაცობა. მოგეხსენებათ, რომ დაბალი ხალხი მაღლა სდგას სეინიდისით, პატიოსნებით, პრაქტიკულ მიხვედრით, მართალის შეხედულობით, უეშმაკობით,—ერთის სიტყვით, ზნეობითი მხრივ, შუა კლასის ხალხზე, (მაღალ კლასზე გავჩუმდეთ, სათქმელი აღარ არის.)

დაბალმა ხალხმა გამოიჩინა სრული პატიოსნება არჩევის დროს: ბარათებში ყველამ შეიტანეს სულ რიგიანი ხალხი, ისეთი ახალ-გაზდები, რომლებიც, თამამად ვიტყვი, სულით და ვულით ეცდებოდნენ ქალაქის გაუმჯობესობაზე; იმ ახალ-გაზდებს საკუთარი, საპირადო ინტერესები არ გაიტაცებდენ, რომ მითი ქალაქისთვინ ევნოთ. იმ ახალ-გაზდებს მომეტებული ნაწილი მასწავლებლები შეადგენდნენ; ამათში ერივნენ სხვა სამსახურის პირნიც, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთ სეინიდისით და პატიოსნებით.

ამ ბარათებით იმედი იყო, რომ ულ ეს ახალ-გაზდები დარჩებოდნენ-ხმოსნებათ, მაგრამ აქაც შემოჰყო კლანჭი ჩვენებურ ვაჭრულ გაიძვერაობამ, შურმა და მტრობამ...

აი აიმსო ზალა ხელოსნებით, დაბალი ხალხით; დალაგდენ; ეტყობა ქალაქის თავი მიმხვდარა, რომ მეორე ხარისხის რჩევის დროს ზოგიერთებმა—როგორც მეც მქონდა აწერილი—გაიძვერაობა იხმარეს და ხალხი აშავეს,—და ამიტომ ეხლა ყუთებისთვინ შირმა აუფარებია. ქარგი და პატიოსანი! მაგრამ სვავების ეშმაკობა მაგ შირმაშიაც შეატანს-მეთქი, ესთქვი ჩემ გულში.

„— ებრაელებმა დაისაკუთრეს ვაჭრობა, ბანკები, წარმოებაო!—როგორ მოასვენებდა ამას ერთი მუჭა ხალხი, თუ იმას მომეტებული ჭკუა, გამჭრიახობა, ენერგია და მომჭირნეობა არ ჰქონოდა?

„— მთელი ხალხის სიმდიდრე ცოტ-ცოტათი ურიების ხელში გადადისო!—ესეც ადვილად შესაძლებელია, ამიტომ რომ ისინი თქვენსავით არ ლოთობენ; ამიტომ რომ ისინი თქვენსავით არ ფლანგვენ ფულებს, ამიტომ რომ ოჯახობაში კეთილ-ზნეობას იცვენ; ამიტომ რომ ისინი დღე და ღამე მუშაობენ! მოიქეცით თქვენც ასე და თქვენც იმათსავით გამდიდრდებითო!“

შემდეგ ქ. ფახტი მიმართავს ნემეცებს და ამტკიცებს, რომ რამდენიც უნდა შევავიწროვოთ, ებრაელები, თქვენ იმათ ვერას დააკლებთო; ერთს უფლებას წაართმევთ, მეორეს მიაწვებიან და იმით გაიტანენ თავსაო. გაიტანენ იმიტომაო, რომ იმათ აქვსთ სწავლა, ენერგია, ნიჭი და მომჭირნეობაო.

თითქმის ყველა ეს ისე შეგვეხება ჩვენც, ჩვენსა და ურიებს შორის დამოკიდებულებას, როგორც გერმანიას.

მაგრამ ერთს რასმეში არ ვეთანხმებით ჩვენ შვეიცარიის პატივცემულ პროფესორს: სწავლა-განათლებასა და ენერგია და—მომჭირნეობას გარდა, ახლანდელ ვაჭრობისა და ბანკის საქმეების მიმდევართ (განსაკუთრებით ჩვენებურ ურიებს, სომხებს და სხვ.) ერთი რამ თვისება აქვსთ, რომელიც ხელს უწყობს იმათ გამდიდრებას და კეთილ-დღეობასა და რომელსაც ჩვენ არც ჩვენის ხალხისათვის და არც სხვა არავისთვის არ ვინატრით: ეს გახლავსთ ამ გამდიდრებისათვის არავითარ საშუალების არ დადევნა და ხშირად ძალიან ხშირად სინიდისზე ხელის-აღება.

გაჭირებული კაცი რომ ურიასთან და სომეხთან, ვსთქვათ, ფულის სასესხებლად მიდის და ურია ან სომეხი ამ გაჭირებულ კაცს მანეთში ათ შაურს და ხან მეტსაც სარგებელს ახდევინებს, ფოხტი ამბობს, ნუ ატყუებინებთ თავს, ნუ ისესხებთ ფულს და ნუ აძლევთ ამდენ სარგებელსაო. ეს ადვილი სათქმელია, მაგრამ განა პატიოსნება მოითხოვს, რომ გაჭირებულ კაცს ყელში თოკი მოაბა! გაჭირებული, ულუკმა-პურო მუშა მიდის ქარხნის პატრონთან, რომელიც დღეში აბაზს აძლევს იმ შრომის ფასად, რომლისგანაც თვითონ მანეთი სარგებლობა აქვს. ფოხტი იტყვის: ეს ნება-ყოფლობაზედ არის! ნუ მოდის, ნუ დადგება ასე იაფ ფასათაო! ადვილი სათქმელია ეს, რასაკვირველია, იმისთვის, ვისაც გაჭირება არ მისდგომია კარზე.

ბედნიერი, საქები და მოსაწონი ხალხი ის ხალხია, რომელსაც სიმდიდრის მოსაპოებლად და თავის კეთილ-დღეობისათვის სხვისი ოფლითა და სისხლით არ უსარგებლნია, რომელსაც არც ვაჭრობაში და არც არასოდეს ზნეობა, სინიდისი და ძმისსიყვარული არ დაუკარგავს, არ ამოუფხვრია გულიდამ.

ახალი ამბები.

გუშინწინდელს ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ თ. ქ. ი. მუხრანსკიმ შესწირა „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ასი თუმანი. ეს ასი თუმანი, როგორც გვაცნობებენ, თ. ქ. მუხრანსკის იმ პირობით შეუწირავს, რომ საზოგადოებამ ბათუმის სკოლას მოახმაროს.

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ ქვემო მოყვანილი სია იმ პირთა, რომელთაც ფარცხა-ნაყანევში (ქუთ. მაზრაშია) დასაარსებელ სკოლას ფული შესწირეს: იაკობ ფხაკაძემ (ქუთ. სას. სასწ. ზედამხედველია) ასი. მან. მათე ფხაკაძე ორმოც-და-ათი მან. მღვდ. იასე ნუციბაძემ ოცი მან. და დანარჩენ ორმოც-და-თერთმეტ კაცმა თითო თუმანი: ივანე ქილაძე, მაქსიმე ფხაკაძე, ნიკოლოზ თედორაძე, მათე ციბაძე, ბესო ლალიძე, ბიჭია ფხაკაძე, კონსტანტინე ფხაკაძე, დავით მიქაბაძე, ოქროპირ ფხაკაძე, იოსებ აფრიდონიძე, როსტომა ქილაძე, ივანე ქილაძე, მიხეილ ლალაძე, პავლე ფხაკაძე, დავით ქუჩუხიძე, დიმიტრი მარდანეიშვილი, პავლე ქილაძე, იესე მარდალეიშვილი, სტეფანე მიქაბაძე, მერაბ ქილაძე, მაქსიმე ქალიძე, ამირან ქილაძე, ივანე ქილაძე, იესე გოდუაძე, დიონოს მარდანეიშვილი, დავით მიქაბაძე, პეტრე ქუჩუხიძე, ალექსი ლალაძე, ალექსი ქუჩუხიძე, სოფრომა ფხაკაძე, იესე ფხაკაძე, გრიგოლა ფხაკაძე, გლახუა ქილაძე, სამსონ ქუჩუხიძე, პავლე ფხაკაძე, ათანასე ქუჩუხიძე, ალექსი ნუცუპიძე, ბესო ციბაძე, მღვდელი გრიგოლ თედორაძე, ივანე თევდორაძე, ბესარიონ თევდორაძე, ონისიმე ქუჩუხიძე, ზურაბა ჭიქოძე, სიკო ჭიქოძე, ლუარსაბ ქუჩუხიძე, გაბრიელ ნუცუბიძე, გიორგი ციბაძე, ფირან მიქაბაძე, გიგო ფხაკაძე.

* * *

აბაშის რკინის გზის სტანციიდამ გვაცნობებენ, რომ მოგზაური ხალხი და საქონლის გამგზავნ-მიმღები ძალიან შევიწროებული არიან ამ სტანციაზე, რადგან თავ-შესაფარი ადგილი არა აქვსთ და ამის გამო ხშირად ხალხი რამდენიმე საათს გარეთ, ავდარში, უცდის მატარებელს და საქონელიც გარეთ ჰყრიაო. თუ რკინის გზის გამგეობამ იმდენი ითავა, რომ აქ სტანცია გახსნა, ბარემ ერთი პატარა შენობაც მაინც უნდა ააგოს ხალხისათვისაო.

* * *

სურამიდამ გვწერენ 18 თებერვალს: „წარსული იანვრის თბილი დღეები სრულებით დაგვამწარა ამ თებერვლის უკანასკნელმა დღეებმა: აგერ მთელი ერთი კვირა თოვლს განუწყვეტლივ როგორათაც შიგ სურამში, აგრეთვე მახლობლად სოფლებში; დღეს სურამში თოვლი თითქმის ერთ არშინ სიმაღლეზედ არის მოსული და კიდევ თოვს. ამ თოვლს დაუმატეთ საშინელი ცივი ქარები.

„ზოგიერთ ალაგას იმოდენა თოვლის ნამქერი ძევს, რომ მცხოვრებლებს კარში გამოსვლა სამძიმოთ მიაჩნიათ. მომეტებულად შესაბრალისია მდგომარეობა იმ პირებისა, რომლებიც დაიმედებულნი იყვნენ ზამთრის სისუსტით და რიგიანათ არ მოეწყვნენ ზამთრისთვის. ტყის გზები შეიკრა თოვლით და შეშის გამოტანა შეუძლებელ საქმეთ გადიქცა.

„13-სა ამა თვესა აქაურის სომხის სკოლის სასარგებლოთ მღვდელმა არუწიანცმა და სკოლის მზრუნველმა ბ. გ. ათამაშეს ლატარია-ალლეგრი. ლატარიის საგნებს შეადგენდნენ სხვადა-სხვა წვრიმალი ნივთები, ღირებული თვითეული არა უმეტეს ხუთის კაპეიკისა. ბილეთი კი ექვსი შაური იყო. აქედგან შემოვიდა სკოლის სასარგებლოთ ოც თუმნამდე; მაგრამ, სამწუხაროთ, გამოვიდა ხმა და ნამდვილათ ამბობენ, რომ ოთხის თუმნის მეტი სკოლასთვის არ მოუხმარებიათ, და დანარჩენი ვის ჯიბეში ჩავიდა—არ ვიცით...“

* * *

ფოთიდამ მოგვივიდა შემდეგი შენიშვა:

„არა ვგონებ ჩვენში სადმე სხვაგან რომელიმე საზოგადოებას ესე

სხდომა გაიხსნა. წამოდგება ერთი მაღალ-მაღალი, შუა-ხნის კაცი, და სთხოვს თავს, რომ მას ნება მისცეს სიტყვის თქმისა. თავმა დასტური დასცა. ბ. გ. ჯაფარიძემ დაიწყო სიტყვა, რომ ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ რიგიანი კაცები ჩვენი ქალაქის პატრონებად, ჩავიხედოთ ჩვენ საქმეებში, შევხედოთ ამ გავლილ ოთხ წელიწადს, თუ რა გაგვიკეთეს, და თუ არ გაგვიკეთეს — ეს იმიტომ რომ უხეირო ხმოსნები გვყავდაო. ეხლა თქვენ ხელშია არჩევანი; ნუ მიხედავთ ნურც გვაროვნობას, ნურც სარწმუნოებას, ნურც ვინაობას. და, როგორც მაგალითი ცუდის მმართველობისა, ბ. ჯაფარიძემ უჩვენა ხალხს იმ ფულის ყუთზე, რომელიც ახლად დაარსებულმა სამმართველომ მიიღო ძველი დეპუტატებისაგან, და რომელშიაც ნაცვლად ასებისა იდო მხოლოდ ოც-და-ერთი თუ ოც-და-ორი დაფლეთილი მანეთი.

ყოველიფრივ ეტყობოდა, რომ ეს სხდომა იქნებოდა სამაგალითო და სამაგალითო შედეგიც ექნებოდა. მაგრამ, წეღანაც მოგახსენეთ, აქაც შემოიპარნენ მელები, ის მელები, რომლებმაც მეორე ხარისხის არჩევანსაც მოსცხეს ჩირქი.

აი შემოვიდა ადრევ ჩემგან აწერილი ქუკი თავის ბაკენბარდებით, თან შემოჰყვა ჭინჭისთავი თავის როკაპული სახით. ქუკმა დაურბინა მეძებარსავით, ჭყვიტინ-ჭყვიტინით; ჭინჭისთავი გასლიკინდ-გამოსლიკინდა; ერთმა წასჭყვიტინ - ჩასჭყვიტინა, მეორემ მიჩხვლიტ-მოჩხვლიტა: არ შესცდეთ და არამც-და-არამც ეგ ხალხი არ ამოირჩიოთ: რა ჩვენი საქმეა ახალგაზდები, აირჩიეთ ისევ თქვენი მეზობლები; აქ ჩამოუთვალეს გვარები ყველა ბებერი, გამოყრუებული კაცებისა, მხოლოდ ორი პირი დასტოვეს დაუსახელებელნი, რომლებიც სხვებზედ ნაკლებნი არ არიან, მაგ. ხოხონა-ბიჭი, ანდრუა და ჩაჩინა-ბაყალი. აი სახმოვანო ხალხნი ესენი არიან! ჭინჭისთავმა, რომ უფრო ძრიელ ემოქმედნა, მოიპოვა რწმუნების წერილი და იშოვა ხმა და კენჭი გასაშვებლად. ვნახოთ, ეს ჭინჭისთავი ამოსჯდომია ერთ ქართველ ახალგაზდას, ეჩურჩულება, რომ შენ გვინდიხართ თავგათ, რა შენი საქმეა მაგათთანა ლაწირაკებთან საქმის დაჭერა (ე. ი. დანარჩენ ახალგაზდებთან); შენ ჩვენ მოგვყუდე ზურგი და „გალავობა“ ვითომც ჯიბეში გდებია. გულში კი ჭინჭისთავი ქუკით ამბობდნენ:

„— აი ეს მარჯვენა უნდა მოგვტყდეს, რომ შენ თეთრი კენჭი მოგცეთ; მაშინ იმისთანა მარჯვენას დაუსვამ წალდს და მოვიკვდებინებო“.

ვაჟბატონმა, რომელსაც ესრე უქადაგეს, გადისვ-გადმოისვა ულვაშზე ხელი, ჩაახველა და გუნებაში გაიფიქრა: ეს მე ხომ ორი კენჭი მაქვს, ერთი ჩემი და ერთიც რწმუნებული, მოდი ერთი შავებში ჩამოუვლი ყველას და მე გავალ; ღმერთმა ამათი,— ჭინჭისთავის, ქუკის და მისთანათა, თავი მიცოცხლოს, თორემ მე რა დამიშავდებაო! იფიქრა, გათავდა. ყველას შავში მისცა.

გახურებული კენჭის-ყრაა. აი დაიგრიალა ფაიტონმა და გაჩერდა სამმართველოს წინ. შევხედეთ, შემოვიდა ახალი მქადაგებელი. ეს გახლავთ ახალგაზდა კაცი, მაგრამ მუცელი ისრე გაუზდია, რომ ონანოვის ერთგვარი ცხოველი რომ არის ღმერთმა შეარცხვინოს იმასთან; ისეთ ნაირათ ფშვინავს, უსტვენს და უბერავს ნესტოებიდამ, რომ ახლო მდგომარე კაცს ვვერდებს გაუცივებს, თუ არ მოერიდა. ცხვირი მოკლედ მოჭრილ კომბოსტოს მურკს მიუგავს; ხელები კოტიტა, ფეხის-ბაყვებიდამ კოჭებამდინ დაგრეხილი; პირი სუფთად მოპარსული; ხანდახან რუსულს ურევს ლაპარაკში ენის კიდებით და მუდამ კაბრიოლეტით დაიარება. გორელებო,

„აბა სცანით რა მხეცია,
თუ არა ხართ ყველა ბეცი“!

ეს მოჰყვა ღრუჩუნს: „თქვე უბედურებო, აბა რათ გინდათ ეგ ვილაც ახალ-გაზდები, „უჩიტლები“, „ჩინოვნიკები“! ისევ ჩვენმა მეზობლებმა გვჭამონ, ის არ გვირჩევნიან. არამც-და-არამც ეგენი არ გაათეთროთ, თორემ სულ ერთიანად დავიღუპებით;

მხიარულათ გაეტარებინოს ყველიერი, როგორც ჩვენმა კლუბელებმა გაატარეს. განუწყვეტლათ თითქმის ყოველს დღეს გამართული იყო ფსონის სადილ-ვახშამი კლუბში, ცეკვა მასკარადის ბალი; დღე და ღამ მუზიკა არ გაჩუმებულა და რუსული სხვა და სხვა სიმღერები. საზოგადოება იშლებოდა დილის 6-7 საათზედ; საითაც გაეხედნა კაცს, ყოველგან წითლათ ალაპლაპებულს ხალხს დაინახავდა; მომეტებულათ მხიარულებდნენ კლუბელებთაგანნი ძველი და ახალი გემების კაპიტნები, მაშინისტები, ვოდოლაზები და სხვები; რამოდენიმეც ჩინოვნიკები და უცხო ქვეყნელები ერივნენ—ამათ დაავირგვინეს ყველიერის მხიარულობა...

„რამდენი ხანია ყეენობა ჩვენში ალარავის უნახავს, რადგან ყველგან მოსპეს; მაგრამ ჩვენს ფოთში კი გუშინ ვნახეთ. გუშინ სადილათ ეს ყეენები კლუბში იყვნენ მუზიკითა, შემდეგ სადილისა გამობრძანდნენ გარეთ მუზიკითვე, დაბრძანდნენ დროგებზედ და ფაიტონებზედ ბაირაღებით ქუჩა-ქუჩა! ოთხი ყეენი ჰყავდათ, ხან წინ მიაბძანებდნენ, ხანუკან, ხან შუაში... ჯერ ქუჩა-ქუჩა ატარეს ყეენები, მერე წაიყვანეს ზღვაში გადასაგდებათ ლაზარევიჩის აგარასთან და ბოლოს გაციებულებს ჩაი დაალევინეს...“

—

გასწორება: „დროების“ მე-42 №-ში აკაკის ლექსში არის ორი შეცდომა. პირველი ხანას მეოთხე სტრიქონში უნდა იყოს დავთარი-ს მაგივრად „დავთრები“ და უკანასკნელ ხანას მეოთხევე სტრიქონში იცნობს-ს მაგივრად „იგრძნობს“.

„დროების“ კორრესპონდენცია

—

ქუთაისი, 26 თებერვალს. რამდენადაც ძლიერია ჩვენი ხალხის წყურვილი სწავლის შეძენისა, იმდენად მცირეა მისი დამაკმაყოფილებელი საშუალება—სკოლის რიცხვი.

უბედურების დასაგვირგვინებლად ეს ცოტა სკოლებიც ისე იყო მოწყობილი, რომ ერთობ შეუსაბამოდ ასრულებდენ თავიანთ დანიშნულებას. ასე იყო დღემდის და დღეს კი ამ ჭირს ზედ მეორე ჭირი დაერთო.

სწავლების ახალი პლანი, რომელიც უკვე დაურიგდა ყველა სასოფლო სკოლებს, იმ ნაირს გზაზედ აყენებს სწავლას, რომ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, თუ რაიმეს შეიძენს მოსწავლე ამ რიგს სასწავლებელში, ის (შეძენილი) იქნება მხოლოდ „სახელითა მამისათა“ და „**комарики-мухи**...“

„პლუტუცებისა“ და „ტუტუცებისათვის“ ეს, რასაკვირველია, სასარგებლო იქნება, რადგანაც „პარაგრაფის“ მეცნიერება მაშინ უფრო ერთგულებით და უშიშრად მიეცემიან, როცა, ზემოხსენებული სკოლების წყალობით, მოზარდ თაობის გონება განვითარების მაგივრად კიდევ უფრო დაიხშობა, მაგრამ თვით ხალხის ცოდვით ქვანიც კი ასტირდებიან, თუ დროზედ არ მიეწოდა მათს სწავლის წყურვილს შესაფერი წამალი—სწავლების რიგიანი სისტემა და სათანადო პროგრამმა სასოფლო სკოლებში.

ახლა მართებს აი, ორთავე-თვალის დაჭყეტა და მხნე შრომა ჩვენს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას...“ ნურვინ იფიქრებს, რომ საზოგადოებისადმი მიმართვა მე ისევ, სიტყვის მასალასავით მეხმაროს. არა; მე ქვემოყვანილი შემთხვევების გარდა ისიც მქონდა მხედველობაში, რომ ქუთაისის გუბერნიაში ჯერ ერთი სკოლაც არ გაუხსნია ამ საზოგადოებას არა თუ სრულს თავის ხარჯზედ, არამედ დახმარება და გამგეობაც არ გაუწევია და არ უკისრნია, გარდა სააზნაურო მოსამზადებელ სკოლისა. მაგრამ ამ უკანასკნელის მიზანი განსხვავებულია იმ მიზნისაგან, რომელსაც თვით „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მისდევს თავის სასწავლებლებით.

მაშასადამე, სრულის საფუძვლით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმერეთში არაფერი გაუკეთებია ამ საზოგადოებას. მით უფრო სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ესა, რომ, ჩვენის აზრით, არსად არ მოინიხება დაბალი ხალხი იმდენად მოსურნე სწავლისა და მისთვის ყოველი თავის ღონის-ძიებისა და შეძლების დაუშურებელი, როგორც ლიხის მთის აქეთ მხარეს. საკმაოა ერთი გონება გახსნილი და კეთილ-მოსურნე კაცი გამოჩნდეს რომელიმე სოფელში და გამოაცხადოს, რომ იგი ეცდება სკოლის რიგიანად წარმატებისათვის, თუ კი სოფლელნი დაარსებენ მას—და ეს უკანასკნელნი ხან-დაუზმელად მიჰმართვენ თავიანთ ქისას და გულ-უხვად გამოიღებენ შესაფერ ხარჯსა..: ორს ამისთანა მაგალითზე უნდა მიუთითო დღეს მკითხველთა.

ფარცხა-ნაყანევის და საწირის საზოგადოებათა ამ დღეებში შეადგინეს ოქმი სკოლების დაარსების თაობაზე და პირველ შეძლებისათანავე სასკოლო შენობათა აგებასაც დაიწყებენ. ფარცხა-ნაყანევის საზოგადოების 54 წევრმა, რომელთ სია „დროების“ დღევანდელ №-ში იბეჭდება, ამ მომავალ სკოლისათვის ექვსას ოთხმოცდა-ათი მანეთიც შესწირეს ნაღდ-ფულად. როგორც ხედავთ საქმე თითქმის ყოველ-მხრივ გაჩარხულია. და იმედი არის, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება,“ რომელსაც ზემოხსენებულ სოფლებმა უნდა სთხოვონ მათი სკოლების გამგეობისა და მმართველობის მიღება, სათანადო ყურადღებას მიაქცევს ამ ყოვლად კანონიერს და სასიამოვნო თხოვნას.

ზემოხსენებული თხოვნა ამ საზოგადოებათაგან ამ ერთ კვირეში მიუვა „წერა-კითხ. საზოგ.“ მმართველობას. სასურველია, რომ იგი დროზედ დაფაცურდეს და ხელი მალე მიჰყოს საქმეს, თორემ თუ თავისებურად ზოზინ-წოწინით გაისარჯა, შენი მტერია, მგლები თვალთ გამოაჭყეტენ და მოინდომებენ ამ წმიდა საქმის თავიანთ უწმინდურ კლანჭებში ჩაგდებას... მკურნალ წყლის მაგივრად, მაშინ ჩვენ მოგვეწოდება მოშხამული ღვარძლის წვენი...

უსამართლოება იქნება ჩვენის მხრით, რომ არ მოვიხსენიოთ ის პატივცემული პირი, რომელიც ენერგიულ მონაწილეობას იღებდა ზემოხსენებულთ სოფელთ საზოგადოებათაგან ნახსენებ ოქმების შედგენაში და არ აკლებდა მისგან დამოკიდებულს დარიგებას. ეს გახლავთ მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ქ. ალშიბაია. ამავე ბ. ალშიბაიასი და ერთის ჩინებულ მიმართულების ყმაწვილ კაცის ს. უ—ნის თაოსნობით მანდიკორის საზოგადოება (ოკრიბაში) ხსნის სასოფლო ბანკს, რომლის საძირე ფული ეხლავე 600 მანეთამდეა. ხვალ-ზეგ ამ მომავალ ბანკის პროექტი მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად...

ასე და ამა პირსა ზედა. ნიადაგი კარგია ჩვენს საყვარელ მამულში, მაგრამ სამწუხაროდ თაოსანნი ძაბუნები გვყავანან. ამით სარგებლობს

ეგენი?! ოჰ! ღმერთმა დადვისხნას! სულ ცეცხლს გაგვიჩენენ“...

ასე ამ გვარი ქადაგებებით ზოგი გადიბირეს, ზოგი გამოაბრუნეს და გაამაგეს ის პირნი, რომლებიც უფრო გამოსადეგნი იყვნენ ქალაქისთვის. მაგრამ სრულებით მაინც ვერ გაიყვანეს თავიანთი... ძლივა უფრო დაბალ ხალხისკენ დარჩა, მაგრამ ეს ძლევა ძიელ სანატრელი არ არის.

როდესაც კეთილი დაწყობილობა არის რისამე, ისეთი დაწყობილობა, რომელიც გოროლი ბურჟუების ჯიბეს არას მიახახვებს, მაშინ ესენი ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ, რომ ეს კეთილი საქმე ჩაშალონ, ფესვი არ გაადგმევინონ. და როდესაც ბოროტი განზრახვაა ვიზედმე, ბოროტი დაწყობილებაა, მაშინ ხელს უმართვენ, რადგან იმათ ჯიბეს ემსახურება ესრეთი დაწყობილება.

უბრალო საქმეს ისე გაასივებენ, ისე გაბერვენ, რომ აქლემის ტოლათ გახდიან; წყალს დააწვენენ და აქლემს აშობინებენ. ჭეშმარიტად ფუჰი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც აქებს იმას, რაც საფურთხებელია სახალხოდ, თაყვანსა სცემს იმ პირს, რომელიც ჩაქოლვის ღირსია, საქვეყნოდ ადიდებს იმას, ვინც თავის ბოროტი საქმეების გამო გამოსაჩენი არსად იყო!?

ამ შემთხვევაში ფულებს სცემენ თაყვანს და არა კაცს. რა გასაკვირველია გორელებისგან გაშავება იმ პატიოსანთა გვამთა, რომელთაც ქალაქის სარგოთ უნდოდათ ხმოსნობა, როდესაც ეგენი კაცს არა სცემენ პატივს, არამედ ფულს. აი მაგალითი..

წასულ კვირეში მთელ ქართლს მოსდეს ხმა, რომ ა. ალიხანოვი გადაიცვალაო. გორის პოლიცია თურმე დაფაცურდა: ალიხანოვი მოკვდა, ქუჩები უნდა დავწმინდოთო. უნდა სთქვას კაცმა, რომ ამის მეტი სიკეთე არა დაუთესნია-რა განსვენებულს; რომ ის არა და მას გამო არქიერის მოწვევა, დღესაც ყელამდინ ნაგავში ვიქნებოდით. უბრალო, წყლისოდენა კაცის სიკვდილი აქლემის ტოლა გახადეს. რათა? იმათა, რომ ბევრი ფულები დარჩა!

მინდოდა გამეგო, თუ რა კაცი იყო ის მიცვალებული, რომელზედაც ასე ყაყანობდა მთელი გორი. დილა ადრიან გავსწიე გორისკენ; მიველ თუ არა მომრიგებელ სასამართლოსთან, დავინახე, რომ თავებზე, ჰაერში, მოაქვთ—ძვირფასად მორთული კუბო, სამხედრო მუზიკით, პოლიციაც სრულის ფორმითაა. მე, ვიფიქრე, ეს უთუოდ დიდი ვინმე მამკვდერა. ბადმოუხტი ცხენიდამ და უკანასკნელი პატივისცემა გაუწიე მიცვალებულს. „ქვავის ტუზები“ რაც შეიძლებოდა მაღლა სწევდნენ ჰაერში კუბოსა. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა შევიტყე, რომ ეს იყო ალიხანოვი! აი, აი, აი! ამაზე ჰყვიროდნენ ისე ძიელა-მეთქი, ვუთხარ ჩემს თავს, გავაყოლე კუბოს თვალები და მოვიგონე ბიორნეს აფორიზმი:

„სამშობლომ და კაცობრიობამ ბევრი რამე დაჰკარგა იმითი-ნათქვამია დასასაფლავებელ სიტყვაში... თქვენ ჰფიქრობთ ვოლტერზე, ფრიდრიხ დიდზე, ვაშინგტონზე, ფრანკლინზე, თუნდ ნაპოლეონ პირველზე? სრულებითაც არა,—დასასაფლავებელ სიტყვაში ერთ პოლიციმეისტერზე, ამ დღეებში მიცვალებულზე ერთ პატარა ქალაქში... განსვენებული იყო, ვსთქვათ, კეთილი მამა, კარგი შვილი, კარგი ქმარი, მაგრამ რათ არიან აქ შეჩხირულნი სამშობლო და კაცობრიობა!“

ამისი არ იყოს, ქადაგებაში, დასასაფლევებელ სიტყვაში, ალიხანოვზე ვინ იცის რა არა სთქვეს!.. მიცვალებულს გააყოლეს პაწაწა მოსწავლეები სომხის სკოლებისა, ქალი და ვაჟი, რომელთაც ყურში აგონებდნენ, და თუ არ აგონებდნენ, შემდეგში გაიგებენ, რა კაცს მისდევდნენ ისინი.—აი როგორ კაცებს აფასებენ გორელები, აი როგორ კაცებს სცემენ თაყვანს!!

ბიუროკრატია, რომელშიაც პლუტუცები უმრავლესობაა და „საპარვაგრაფიო“ მაგალითების მეტს არაფერს იძლევიან. მაგრამ ნათქვამია: „კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო“. ჩვენც ამით ვინუგეშოთ...

ჯ.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ პატარა შენიშნვას თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ.

„დროების“ № 36-ში ამა წლისა არის დაბეჭდილი წერილი ზორის ქართული სცენის მოყვარეებისა; აჰ წერილზე, სხვათა შორის, აწერია ჩემი და ჩემი ცოლის სახელ-გვარი. ნათქვამია: „უფალო, ჩხიკვი მოკვდაო!— მე დაბადებაც არ გამიგიაო“. ამისი არ იყოს, მე ეგ წერილი თვალით არ მინახავს და არ ვიცი ვინ მისცათ ნება წერილის ავტორებს ჩემდა-დაუკითხავათ ჩვენი გვარების გამოჭიმვისა. ავტორებს უნდი ეკითხნათ: ვიყავიო მე და ჩემი ცოლი უაბულნი მაგ წერილის შინაარსისა, თუ არა?

ერთი თუ ლმერთი გწამთ, მითხარით, რა წასაყვედრებელი, რა ქვეყანაში ვამოსატანია ეს საქმე! რაც იყო-იყო, რაც მოხდა-მოხდა. აქაც ქართველური ხასიათი სჩამს: გაუტანლობა, სიშურე, დაუფიქრებლობა. რამდენჯერ მიიწერნენ კერძო წერილს, და თუ მიიწერნენ, რა პასუხი მიიღეს? არა ჰქონდათ-რა სხვა ხერხი ხელში, რომ ის ფულები დაებრუნებინათ? ჰქონდათ და ძლიანაც კარგი ხერხი, მაგრამ არ ვიცი რითი იხელ-მძღვანელეს ავტორებმა წერილის დაწერაში.

ეს წაყვედრება რომ გამოსულიყო რომელიმე კუდაბზიკი პირისაგან, გაუნათლებელი აზნაურისაგან, ან გაბღენძილი ვაჭრისაგან, მაშინ ასე საწყენი არ იქნებოდა; მაგრამ ამას სჩადიან ახალ-გაზდები, რომელთაც არ შეშვენით ასეთი ბავშვური-უკაცრავად კი—საქციელი.

ს. ხ. მგალობლიშვილი.

ქ. ზორი, 24 თებერვალი.

განცხადებანი

ბევრი კრაოტები

ფოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქაღალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ძიხტის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—2)

თფილისი

ბოსტნეულობისა და ყვავილებისა

მიღებულია თესლების დეპოში ძაკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერისა, ბალავინის პროსპექტზე, № 11, **ლარშეს** მაღაზიაში.

აქვე იშოვება კატალოღები თესლებისა. (10—2)

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია სამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საბონისა, შოკოლადებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისა (გემრიელი კლეკნილი ზეთისა) და სხვ. საგანგებო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. სამდვილი ბაკანს სიგარები. (100—32)

ყველაზედ უფრო ბევრი საქონელი კავკაზიის აქეთ მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია,** არწრუნის გალერეაში: ღირს სანახავად.

ისყიდება საზამთრო მოსახურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფანდოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2.—12

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდის და თოფები 20—200 მანეთამდის. **ინგლისის მაღაზიაში.** საგანგებო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—31

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნველის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—42)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

ეღირება ნაღი ნაი—1 მ. 10 კ. ბოსტანი ნაი—1 მ. 40 კ.

— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—99)

ინგლისის მაღაზიაში ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემცსხვაგან. (20—15)

თფილისის ქალაქ. გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ 10 მარტს ამა წლისას, დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი ნავთლუღის დაჩის არენდით გაცემაზედ, რომელიც გამოსადეგია საბალასოთ, და შეიცავს 194 დესიატინას და ას ოთხ-კუთხს ხაქენს, ვადით 1 აპრილიდამ ამავე წლისა 1884 წლის 1 იანვრამდის.

დაწვრილებული პირობები ამ საგნის შესახებ მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10-2 საათამდი, გარდა კვირა და უქმი დღეებისა. (3—2)

ОБЪ ИЗДАНІИ

съ апрѣля 1881 года въ г. Тифлисѣ еженедѣльнаго юридическаго журнала

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Журналъ будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ до 2-хъ печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

Отдѣлъ 1. Статьи по теоріи и практикѣ права и судопроизводства.

Отдѣлъ 2. а. Извлеченіе изъ приказа о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству Юстиціи въ Имперіи.

б. Перечень и краткое изложеніе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.

Отдѣлъ 3. а. Краткіе отчеты о засѣданіяхъ въ судахъ Кавказскаго Намѣстничества. Въ случаяхъ особенно важныхъ— стенографическіе отчеты будутъ издаваться въ видѣ особыхъ приложеній въ журналу.

б Тезисы изъ руководящихъ рѣшеній Тифлисской Судебной Палаты по дѣламъ, разрѣшеннымъ ею въ кассаціонномъ порядкѣ. Въ случаѣ надобности здѣсь-же будетъ помѣщаемъ и текстъ самыхъ рѣшеній.

в. Особенно интересныя рѣшенія гражданскихъ судовъ Кавказскаго Намѣстничества. Преимущественно тѣ рѣшенія, коими разрѣшаются какія либо вопросы права и судопроизводства, вызванные мѣстными особенностями Кавказскаго края.

г. Корреспонденціи юридическаго содержанія.

Отдѣлъ 4. Перечень новыхъ книгъ юридическаго содержанія. Редакція по возможности будетъ представлять и краткіе отчеты объ этихъ книгахъ.

Отдѣлъ 5. Смѣсь. Мелкіе случаи изъ судебной жизни и практики.

Отдѣлъ 6. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской Судебной Палаты по дѣламъ апелляціоннымъ и кассаціоннымъ.

Отдѣлъ 7. Тезисы изъ вновь выходящихъ рѣшеній Кассаціонныхъ Департаментовъ Сената.

Отдѣлъ 8. Объявленія.

Журналу обѣщали свое сотрудничество, сверхъ многихъ лицъ судебнаго вѣдомства: Ф. К. Бакало, Ѳ. А. Быковъ, В. М. Горбовскій-Заранекъ, Н. А Дингельштетъ, В. И. Канатовъ, П. В. Макалинскій, Я. И. Рашетъ, М. А. Селитренниковъ, П. П. Соколовъ, Е. Д. Стрѣльбицкій, А. С. Френкель и др.

Редакція журнала—по Ново-Бебутовской ул., д. № 6. — Администрація (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)— близъ Головинскаго проспекта, по Безъименному пер., д. Тамамшева.—Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою, на годъ—10 р., на 9 мѣс.—8 р. 20 к., на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к.—Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца. —Отдѣльные нумера=по 25 к.— Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.— Иногородныхъ просятъ обращаться исключительно въ Администрацію журнала.

Редакторъ А. В Степановъ.

Издатель А. С. Френкель,
присяжный повѣренный.

(5—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 27 февраля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.